სსიპ „თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს“

გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთს არ გააჩნია საზოგადოებრივი საზღვარი არც ერთი მხრიდან (არ ემიჯნება საზოგადოებრივი სივრცე). ამასთანავე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებშიც განხორციელებულია შესაბამისი ცვლილებები ზემოაღნიშნული მიმართულებით. განგიმარტავთ, რომ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 24 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, სიმაღლის განმსაზღვრელი სქემა განისაზღვრება სამშენებლო მიწის ნაკვეთის მხოლოდ საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან და შესაბამისად ამ უკანასკნელი გარემოების არარსებობის გამო საპროექტო შენობების სიმაღლის განმსღვრელი სხივი არ აიგება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შენობების განთავსება ხდება მხოლოდ სამეზობლო მიჯნის ზონაში შენობა-ნაგებობების განთავსების პრინციპების დაცვით.